

კონფიდენციალურობის პოლიტიკა

მოცემული კონფიდენციალურობის პოლიტიკა გამოხატავს იმას, თუ როგორ იყენებს შპს “ახალი ფინანსური ჯგუფი” (WinCredit.ge) თქვენს ინფორმაციას.

1. ინფორმაციის შეგროვება

თქვენი პირადი ინფორმაცია რომელიც ჩვენ შეიძლება შევაგროვოთ და საჭიროების შემთხვევაში მოვითხოვოთ არის:

- სახელი, გვარი
- პირადი და პირადობის მოწმობის ნომერი
- სქესი
- ელექტრონული ფოსტის მისამართი
- მობილური და სახლის ტელეფონის ნომერი
- დაბადების თარიღი
- სამუშაო ადგილი და თანამდებობა/პოზიცია
- დამსაქმებლის სახელი
- სამუშაო ტელეფონის ნომერი
- თვითური შემოსავალი
- სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მოგვჭირდება რეგისტრაციისას, ელექტრონული ფოსტით, ონლაინ კონსულტაციისას, ტელეფონით ან სხვა საშუალებებით.

2. შეგროვებული ინფორმაციის გამოყენება

შეგროვებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნება თქვენი განცხადების განსახილველად:

- თქვენი იდენტიფიცირებისათვის და საკრედიტო მდგომარეობის შემოწმებისათვის
- სესხის დამტკიცების საკითხის დასამუშავებლად
- თქვენთან დასაკავშირებლად
- საკონტრაქტო პირობების შესასრულებლად

შეგროვებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებული იყოს ტელეფონის ნომერზე და თქვენს ელ-ფოსტაზე ჩვენი სიახლეებისა და შეთავაზებების გამოსაგზავნად.

3. ინფორმაციის შენახვა

ინფორმაცია შენახული იქნება ჩვენს დაცულ სერვერებზე, ნებისმიერი ინფორმაციის მიმოცვლა ჩვენ სერვერზე იქნება დაშიფრული თქვენივე უსაფრთხოებისთვის.

თქვენ მიერ გაცემულ ნებისმიერ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ, გთხოვთ სიფრთხილე გამოიჩინოთ პაროლებისა და სხვა ინფორმაციის გაცემისგან.

4. ინფორმაციის გამჟღავნება

შეიძლება პერსონალური ინფორმაცია გამჟღავნებული იქნეს ჩვენ შიდა ჯგუფში არსებულ პიროვნებებთან.

მესამე პირს შეიძლება ინფორმაცია გადაეცეს:

- ბიზნესის გაყიდვის შემთხვევაში ან ბიზნესის წილის გაყიდვის შემთხვევაში
- კანონის მოთხოვნის საფუძველზე
- საკრედიტო ისტორიის სააგენტოს, თაღლითობასთან მებრძოლ სააგენტოს ან სხვა მსგავსი ორგანიზაციას, რომელიც ცენტრალიზებულად იღებს ინფორმაციას ერთმანეთთან დასაკავშირებლად
- პრობლემური სესხების ამოღების გარე პარტნიორებს
- საპროცესინგო ან სხვა მესამე პირს, რომელიც გადახდის პროცესინგს უზრუნველყოფს, რაც აგრეთვე აუცილებელია თქვენთვის მომსახურების გასაწევად.

5. ასაკი

ჩვენი სერვისით სარგებლობისთვის თქვენ უნდა იყოთ 21 - 65 წლის საქართველოს მოქალაქე.

6. საკონტაქტო საშუალებები

ჩვენ შეგვიძლია დაგეკონტაქტოთ ნებისმიერი ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციის საშუალებით, სანამ უარს არ განაცხადებთ.

7. ცვლილებები კონფიდენციალურობის ხელშეკრულებაში

მომავალში, კონფიდენციალურობის ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება გამოქვეყნდება ამ გვერდზე. თუ ხელშეკრულებაში მოხდება რაიმე მატერიალური ან არსებითი ცვლილება ჩვენ შეგატყობინებთ ვებ გვერდის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით.

8. ჩვენთან დაკავშირება

კონფიდენციალურობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ელექტრონულ ფოსტაზე info@wincredit.ge ან ტელეფონის ნომერზე 032 2 424 555. მისამართი: თბილისი, აკ.წერეთლის # 116